დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2020 წლის 23 ოქტომბრის N01-4/90 ბრძანებით
(ცვლილება: ბრძ. N 01-4/231 16.12.2024)

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია

1. წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების და განვითარების პროცედურებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია, რომელიც ეფუძნება ხარისხის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, და ა.შ., ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მეთოდოლოგია მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად/ გასაუმჯობესებლად, ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

4. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მიზანია გააუმჯობესოს სასწავლო პროგრამები, დააახლოვოს ისინი სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, შექმნას პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო, კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, კერძოდ:

   ა) დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) გამოკითხვას;

   ბ) სასწავლო პროცესზე დაკვირვებას;

   გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას;

   დ) პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს;

5. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა ხორციელდება როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში „ცენტრი“) წინადადებების ინიცირებების გზით.

   ა) სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებლი აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია. ეს საკითხები შეიძლება ეხებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას და სხვა.

   ბ) კოლეჯი ახორციელებს სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესებას;

   გ) კოლეჯი ახორციელებს დამსაქმებლისგან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თავად უნდა შეიცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ასეთი

ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრის უფლებამოსილ ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას აღმოჩნდა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, კოლეჯი მიმართავს ცენტრს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

6. ა(ა)იპ კოლეჯში ,,პრესტიჟი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება დაფუძნებულია პროფესიული სტუდენტების მოლოდინების კვლევაზე, მათ მიერ მიღწეული სწავლის შედეგების გაანალიზებაზე, პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

7. კითხვარების საშუალებით დგინდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

   - პროგრამის განხორიელებისას გამოყენებული სასწავლო მასალების, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხი, რაც სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შესაბამისი უნდა იყოს;
   - სტუდენტთა შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;
   - შეფასების ინსტრუმენტების/საგამოცდო საკითხების რელევანტრობა პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილთან;
   - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების/დადასტურების მეთოდის ეფექტურობა;
   - პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ინტერაქციური სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის დონე და სხვა.

8. დამსაქმებელთა გამოკითხვის შემთხვევაში ხორციელდება იმ დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

9. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის მართვის მენეჯერთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან/და შეაქვს ცვლილებები პროგრამაში და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად.

10. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი (გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი შენიშვნები და დაინტერესებულ პირთა შეფასებები) კოლეჯის ადმინისტრაციას ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში.